№ 286 1918 წ შაბათი ივლისის 20 № 286

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

საჩხერეში აჯანყებულები სასტიკად დაამარცხეს

თი მეთაური ხარებოვი, შეიჭურეს მთელი შტაბი, მოჰკლეს 30 მეამბოხე და მრავალიც დაატყვევეს — მოკლე ხანში აღდგენილ იქნება მიმოსვლა ბათუმსა და ნატანებს შუა. — ახალციხეში ცხოვრება მთლად მოდუნებულია: სასამართლო, ფოსტა—ტელეგრაფი და სხვა დაწესებულებები არ შუმაობენ: ოსმალოებმა ახალციხელები ჯარში გაიწვიეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძესეული „ნადეიდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ნინო დურმიშხანის ასული მაქარაშვილი და მისი შვილები ირინე და მიხეილ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ივლისის 21-ს შესრულდება ნახევარი წელი, რაც ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი და უკანასკნელთა ძვირფასი ძმა ქართულ სამთო ცხენოსან ბატარეის, პოდპორუჩიკი და ტფილისის პოლიტექნიკუმის ტუდენტი

ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაქარაშვილი

რის გამოც მიცვალებულის საფლავთან, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. გიორგის ეკლესიაში, სოფ. არბოში (გორის მაზრა). წირვა დილის 9 საათზე დაიწყება. 764

ანონსი

შაბათს, 1918 წლის ივლისის 13-ს გაიხსნება პირველი ხარისხის სახადილო

„საქართველო"

ყოფილი „ამირანი" პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის მენობაში. შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით დაუვრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდი, ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდი. სამზარეულო აზიური და ევროპიული, საჭმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით.

გაზეთი „სახალხო საქმე"

გულდათუთქული მამა სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თვისი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

ნიკოლოზ (კოლია) სპირიდონის ძე ჯორჯიკიას

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს წაასვენებენ ბორჯომიდან ზუგდიდის მაზრის სოფ. ნოჯიხევში, სადაც მოხდება დასაფლავება კვირას, ივლისის 21, საღამოთი. რიონის და ახალ-სენაკის სადგურებთან ცხედარი იქნება, 20 ამა თვის, დილით ადრე მატარებლით № 6. 773

ივლისის 17-ს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა

ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილნი განსვენებულისა: ალექსანდრე, დავით, მარიამ, ელენე და ნინო, პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 ნ ხ. საათზე; გამოსვენება ივლისის 20 ს დილის 9 ნახ. საათზე, საკუთარი სახლიდან (ანჩისხატის და ბაგრატიონის ქ. №№ 12 და 13) ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 762

ივლისის 17-ს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ სიძე ექიმი რუბენი სუმბათის ძე დავითიანი და მისი მეუღლე მარიამ ივომონის ასული შვილებით. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 ნახ. საათზე, გამოსვენება ივლისის 30 ს დილის 9 ნახევ. საათზე, საკუთარი სახლიდან (ანჩისხატის და ბაგრატიონის ქ. № № 12 და 13), ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 763

სოფიო თომას ასული, ალექსანდრეს ძე და მიხეილ ალექსანდრეს ძე მაქარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი დედა, მეორე ცოლის დის და მეამე დედის

ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია ივლისის 20 ს დილის 10 ნახ. საკუთარ სახლიდან (ანჩისხატის და ბაგრატიონის ქ. №№ 12 და 13). ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე 768

გულ დათუქნილნი შვილები: ექიმი თამარ სიმონის ასული აბაშიძისა, ნინო მოლანოვისა და ლევან, ძმები ირაკლი, ივანე და გიორგი ქალ-ხოსროს-ძე დავითიშვილები თვალთ ცოლშვილით, ძმაწული ბიძინა ბაგრატის ძე დავითიშვილი, აცნობებს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ პარასკევს ივლისის 19 ს დილის 10 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პნ. თეკლე ქაიხოსროს ასული აბაშიძისა

გამოსვენება კვირას დილის 10 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან, დაკრძალვა იმ დღისვე კუკიას წმ. ნინოს სასაფლაოზე 762

ლრმად დაწუხარებულნი დედა ეფემია, ძმა დავითი, დები რუსუდან, თამარ, მარიამ ამითაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხნ მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი და დანარჩენების და

ნინო თეიმურაზის ასული კაჭარავა

გამოსვენება და დაკრძალვა კვირას ივლისის 21-ს დილის 9 საათზე, სტავროპოლის ქუჩიდან სახლი № 3 (ნაძალადევი) კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში. 771

ღრმა მწუხარებაში მყოფნ: მზობლები ვასილ და საშა, ძმები: სიმონ და ლევან, დები ნ მეადორა, თამარ ამაშაძეები და ეკატერინე კეთილაძისა და სიძე ალექსანდრე კეთილაძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასის

სონიას

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ორშაბათს ივლისის 22 ს. ეკ. ბონში, ქარჩხაბის მარცხოვრის ეკლესიაში დილის ათ საათზე. 767

ხუთშაბათს, ივლისის 25-ს საღამოს 7 ნ.ხ. საათზე, ტფილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სასწავლებლის სადგომში (სლოვოვის ქ. № 4) დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება ქართული საფილარმონიო

საზოგადოების წევრთა

განსახილველია საკითხი საზოგადოების მოქმედების გაფართოვებისა და ამასთან ერთად შემუშავება შესაფერ წესებისა.

რადგანაც ეს კრება მეორედ ინიშნება, ამისათვის წესდების ძალით კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1237

კავკავის ქართული სკოლისათვის

საჰირო

სამი მასწავლებელი

მასწავლებელს წლიური ჯამაგირი იქნება 3.600 მანეთი.

მსურველთ თხოვნა საჰირო დოკუმენტებით უნდა წარუდგინონ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ან კავკავის განყოფილების გამგეობას, Владикавказъ грузинская школа, въ правленіе. 1238

ქართული კლუბი

შაბათს, ივლისის 20-ს

ბავშვების საღამო

კლუბის წევრთათვის და მუდმივ მოსიარულეთა შვილებისათვის შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღ. 5 საათზე. 1236

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

ტფილისის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შენული კაპიტალური საზამთრო შენობა. ᲓᲦᲔᲛᲘ. 18—00

1918 წ. დღეს ივლისის 20-ს გაიმართება

დიდი ბენეფისი

ტფილისის საზოგადოების საყვარელ მსახიობის, მუსიკალ. ექსცენტრიკის ძმ. რიგოსი. მთელი პროგრამა ახლად არის შედგენილი.

770 მთავარი გამგე: ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲚᲘᲐᲕᲐᲠᲝᲕᲘ.

ᲙᲠᲔᲛᲘ „ᲐᲜᲬᲣᲐᲜᲔᲚᲘ"

პირისახისა და ხელებისათვის საუცხოო, პარიზის კრემი, ასუფთავებს კანს, სპობს ლაქებს და ნაოჭს. იყიდება ყველა სააფთიაქო მაღაზიაში 755

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ბათომის პარტიზანული პოლკის ტრიბუნალი მოუწოდებს ქალაქელ და სოფლელ ამხანაგებს ჩაეწერონ ამ პოლკში. ჩაწერა შეუძლია ყველას 19 წლიდან 23-მდე, ე. ი. იმათ, რომელთაც ეხება მობილიზაცია და აგრედვე მოხალისედ 23 წელზე ზევით. პიროებები და მდგომარეობა ისეთია, როგორც ჩვეულებრივ რეგულიარულ პოლკში. (ჯარის-კაცებს ჯამაგრი ეძლევა თვიში 35 მანეთი, საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი; ოფიცრებიც ხაერთო პიროებებში). დაწვრილებით გაგება ცნობებისა შეიძლება ტფილისში სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ ბიუროში, ლორის-მელიქოვის ქ. № 1.

ᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ 1918 წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 19.

ᲡᲐᲛᲮᲐᲜᲐᲓᲘᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. უღმობელმა ბედმა და უფრო კი ჩვენმა ისტორიულმა დანაშაულმა ხელიდან გამოგვგლიჯა მთელი სამხედიანო საქართველო. „აჯარამ გვიღალატა", ისმოდა კუთხიდან კუთხეში. მართალია აჯარამ საქართველო ოსმალეთზე გასცვალა, მაგრამ ნუ ვეწოდებთ ღალატს იმას, რაც არსებითად სრული პოლიტიკური გაუგებრობის შედეგია. ნუ მოვახვევთ აჯარასა და მთელ სამხედიანო საქართველოს ბრალდებას, რომელიც უსინდისო ლაქად მხოლოდ კი აჯარელ ბეგებსა და რაზოდენიმე მოღალატეს უნდა დაედოს. ვისაც აჯარა უნახავს, გასცნობია აჯარელთა ულიერ განწყობილებას, იცოდინებ, რომ ერთვნება და სარწმუნოება მასში ისე ჯადოსნურად არის გადახლართული, რომ მტერს ადვილად შეუძლიან აჯარელის სარწმუნოებრივი გრძნობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ოსმალეთიც ასე მოიქცა. ოსმალეთის ემისარებმა და აჯარის ბეგებმა გააღვივეს სარწმუნოებრივი ფანატიზმი, ათასნაირი არასებული საფრთხე გადაუშალეს თვალწინ აჯარელები მოსწყვიტეს დედა საქართველოს. მაგრამ შემცდარი იქნება ყველა, ვინც იფიქრებს, რომ საქართველოს მოწყვეტილი აჯარა შეიძლება ოსმალეთს საბოლოოდ დაუკავშირდეს და თავისი თავი თურქად იცნოს. აჯარელი თავის თავს აჯარელს ეძახის. იგი ვერც ქართველის სახელწოდებას ურიგდება და ვერც თურქისას. აჯარელის ფსიქოლოგიის სიიდუმლოებაც სწორედ ამაშია.

ამიტომ თუ აჯარელს მიეცა სრული გარანტია თავისუფალი თვითგამორკვევისა, იგი არასოდეს ოსმალეთში და თურქებში არ გაითქვიფება და უპირატესობას მისცემს ერთგვარ თავისუფლებას. ეკარას, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა ვერ შეუძლიან. მაგრამ, თუ მან შინაური დამოუკიდებლობა მიიღო, თუ აჯარაში დამყარდა ისეთი წესწყობილება, რომელიც საშუალებას მისცემს მას თავის შინაურ ცხოვრებას თითონ გაუძღვეს, იგი არასოდეს არ გასწყვეტავს კავშირს საქართველოსთან და თავის ბედს ოსმალეთს ნება ყოფლობით არ დაუკავშირებს.

ეს ძალიან კარგად იცის ოსმალეთმა და სწორედ ამიტომაც ასე ნაჩქარევად და ასე უცხაურად „რეფერენდუმს" ახდენს აჯარაში, მათრახის ქვეშ აიძულებს ხალხს, გამოსთქვას თავისი აზრი, ოსმალეთთან უნდა ყოფნა თუ საქართველოსთან. ასეთს რეფერენდუმს, ხალხის ანბანარ დაკითხვას, რა თქმა უნდა, არავითარი ფასი არა აქვს და ამიტომ საქართველო ვერც გაუწევს ანგარიშს ამნაირ რეფერენდუმს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჯარაში რეფერენდუმი უნდა მოეხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ოსმალეთის ჯარი გაყვანილი იქნება აჯარიდან, როდესაც ხალხს საშუალება ექნება ფარულის კენჭს ყრით გადასწყვიტოს თავისი ბედი.

ჩვენ შეგვიძლიან დაკითხვა ნეიტრალურ სახელმწიფოს წარმომადგენელს მივანდოთ ან ისეთს სახელმწიფოს, რომელიც მაინცა და მაინც ძალიან არ არის დაინტერესებული, საითკენ გადაიხრება აჯარის სიმპატია. მაგრამ ისეთი დაკითხვა კი, როგორიც დღეს სწარმოებს აჯარაში, დაკითხვა კი არ არის, არამედ კიდევ ერთი ახალი ძა-

ლადობა, რომელსაც ხმარობს ოსმალეთი ჩვენ ძმებ აჭარლებზე. ჩვენ ენერგიული პროტესტი უნდა გამოვაცხადოთ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და მოვითხოვოთ, რომ რეფერენდუმის დროს საქართველოს წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

მთავრობაში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან შესდგა სათათბირო, რომელიც შეიმუშავებს სხვა და სხვა ზომას რესპუბლიკის მიწა-წყალზე სათამბაქო მრეწველობის განვითარებისათვის და თამბაქეულობის მეზობელ ოლქებსა, თერგის ოლქისა და უკრაინაში გასაღებისათვის.

—

მთავრობის სხდომაზე ივლისის 18-ს განიხილეს სამხედრო მინისტრის მოხსენება სამხედრო ძალების შექმნის და ჯარის შედგენის შესახებ და დაადგინეს: სამხედრო მინისტრს დაევალოს მეორედ დაიმუშაოს პროექტი.

—

დარიალის ხეობით ქართველ ჯარის მოძრაობის გამო მთავრობამ ლარსში გაგზავნა გზათა მინისტრი ივ. ნ. ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. გ. მახარაძე და სახალხო რაზმის უფროსი ვ. ჯუღელი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით საგუბერნიო და სასოფლო ადმინისტრაციის შექმნის, მისი შტატების და მფრინავ რაზმების შედგენის შესახებ მთავრობამ დაადგინა კანონ-პროექტი საჩქაროდ წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს განსახილველად.

—

საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარედ გ. ნ. ნიკოლაძე დანიშნა.

—

ფინანსთა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მიმართა მიწათმოქმედების გზათა, სასურსათო, სამხედრო, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, კოოპერატივთა ცენტრალ კავშირს და საკრედიტო დაწესებულებათა კავშირს, თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ საქონლის გამტ. კომიტეტში.

საბჭო განყოფილების გამგედ დანიშნა მიქაძე.

საჩხერის ამბები

დეპეშები

(საკუთარ კორესპონდეტისაგან)

საჩხერე. ივლისის 18. ივლისის 17-ს დილით კაპ. იშხნელმა ძლიერი შეტევა დაიწყო, რომელიც 12 საათს გაგრძელდა. შეტევაში მონაწილეობდა რაზმის ყველა ნაწილი და არტილერიაც ენერგიულ დახმარებას უწევდა. რაზმა ალყა შემოარტყა ყველა სოფელს მდინარე ყვირილის ორსავე სანაპიროთი, სადაც გაფანტული იყვნენ ყაჩაღთა ბანდები. ჭალის ხეობაში მტერს აურაცხელი ზარალი მიაყენა ჩვენმა ჯარმა, მტერმა ოსეთისკენ დაიხია.

ყაჩაღ-მძარცველთა ბრბოებისაგან განთავისუფლებულია თითქმის ყველა ქართული სოფელი. მტრის ბანაკში მოკლულია 80, დატყვევებული 15 კაცი. ამათში 12 ოსია, სოფ. ჭალის მცხოვრებლებმა თეთრი დროშები გამოჰფინეს და სიხარულით შეხვდნენ თავის მხსნელებს.

—

ს ჩხერე. ივლისის 18. ოსების ბანდის მეთაური ხარებოვი ხასიკვდილოდ არის დაჭრილი. ჩვენი სამხედრო ექიმი გიგო აბდუშელიშვილი ძმებით და სხვები განთავისუფლებულნი არიან. მტრის შტაბი დატუსაღებულია. ოსთა ბრბო მთლად გაიფანტა საჩხერიდან.

ტუაფსეს მიმართულებით.

სოხუმიდან ჩამოსულმა პირმა შემდეგი ცნობები გადმოგვცა სანდო წყაროებიდან:

ჩვენი ჯარი ბრწყინვალედ მოქმედებს შავი ზღვის სანაპიროებით, ტუაფსეს მიმართულებით.

რამდენიმე დღის წინად სოხუმში ქართველების საშველად ბოლშევიკებთან ბრძოლაში 150 ყუბნის ყაზახი ჩამოვიდა, მათ ოფიცრები მეთაურობენ. ეს ყაზახები ოდესღაც ბოლშევიკები იყვნენ.

ყუბანის ოლქში ყაზახები ბოლშევიკების წინააღმდეგ არიან განწყობილნი, ბოლშევიკები აქ კარგად არიან შეიარაღებული, ყაზახებს კი იარაღი არ გააჩნიათ: ამით აიხსნება, რომ ყუბანის ოლქში ბოლშევიკები ასე ხანგრძლივ ბატონობენ.

მიუხედავად ამისა ყაზახები მაინც თავგადადებით იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ ტა ყაზახების აღფრთოვანებამ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მოახლოვებისას. იგინი შეიარაღდნენ კეტებით, ხიჩებით და ასეთი ბრძოლით ხშირად თოფებსა და ტყვიის მფრქვეველებს ართმევენ ბოლშევიკებს.

ბოლშევიკები მოუწოდებდნენ ყაზახებს „კოხტრ-რევოლიუციონურ“ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ყუბანელებმე ბოლშევიკებს უპასუხეს: „თუ თქვენ ერთა თვითგაბატონებულობის ბოლშევიკური ხართ, რატომ ებრძვით ქართველებს? მათ სურთ თვითონ გადაგოს თავისი საქმეები და თუ თქვენ ქეეზმარიტი სოციალისტები ბრძანდებით და არა ყაჩაღები და რთულები, რატომ იბრძვით მათ წინააღმდეგ? ყოველ შემთხვევაში ჩვენ თქვენ არ წამოგეგებითო“

და ყუბანელები არა თუ არ წამოვიდნენ საქართველოს წინააღმდეგ, პირიქით ისინი შეებრძოლენ ბოლშევიკებს ყუბანის განსათავისუფლებლად.

სოხუმში მოსულ ცნობებით ყუბანის ყაზახებმა უკვე აიღეს არმავირი და წინ მოიწევენ სანახრეთ-დასავლეთით, რათა საქართველოს ჯარს შეუერთდნენ. მათ უნდათ სთხოვენ საქართველოს მთავრობას, რომ იგი დაეხმაროს ყუბნის ოლქს და ჰპირდებიან პურს შეითვიტანთ საქართველოშიო. საზღვარი ყუბანის ოლქსა და საქართველოს რესპუბლიკის შორის შემდეგში იკნება შეთანხმული.

არის ისეთი მიმართულებაც,—არ ვიცით რამდენად ძლიერია იგი—რომელიც მოითხოვს, რომ ყუბნის ოლქი ამა თუ იმ სახით საქართველოს შეუერთდეს. ეს გამოწვეული და ნაკარნახევია ბოლშევიკებისადმი ზიზღით ერთის მხრით და მეორეს მხრით სურვილით, რომ თავიდან აიცდინონ გერმანელების შემოსვლა იმ სახით, როგორითაც ეს მოხდა შავი-ზღვის ყუბერნიაში.

შესაძლებელია ამ მოკლე ხანში ყუბანელებს ჩაჩ ებიც შეუერ ნენ. („ბ.“)

ახალციხეში

ახალციხიდან ჩამოსულის სიტყვით ახალციხეში ცხოვრება სრულიად შეწყდა. ოსმალთა თვითნებობას საზღვარი არა აქვს. ოსმალოებმა განკარგულება გააკრეს ქუჩებში ოსმალურ, ქართულ და სომხურ ენებზე, რომლითაც მცხოვრებლებს 10 საათ. შემდეგ ეკრძალებათ ქუჩებში გამოსვლა და სახლში გასართობების გამართვა მუსიკით, გარდა პარასკევისა და კვირის. ამით ოსმალოები სარგებლობენ და ახალციხიდან გუმბრისკენ ღამ-ღამობით დიდძალ პურს ეზიდებიან. მეურმეებს არაფერს ეძლევენ. ფუთი ფქვილი უკანასკნელ ხანამდე 6 მ. ღირდა, ეხლა—12 მანეთია. გირვანქა პური 60 კ. იყიდება, კვერცხი თითო 15 კ., ხორცი 1 მ. 50 კ., კართოფილი 10 კ., ოსმალოებმა აღკრძალეს ახალციხეში გაზეთების, წერილების და იარაღის შეზიდვა.

იქიდან თითო პირს 3 გირვანქაზე მეტ პურს არ ატანენ თან. უკანასკნელ ხანს იქიდან წამოსვლა შეიძლება თვეში ორჯერ. ფოსტა ტელეგრაფი, სასამართლო, ხაზინა და სხვა ყველა დაწესებულება დახურულია. აგრეთვე მეტი ნაწილი სავაჭროებისა.

ოსმალოებმა რუსული პოლიცია ადადგინეს. ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები უკმაყოფილონი არიან ოსმალოებით, ამას არა მალავენ და ყოველ ქართველს ემუდარებიან დაიხსნან ოსმალოთაგან, რომელთაც რჯულსაც აგინებენ და ისლამის ფლირს შვილებს უძახიან. უკმაყოფილება გამოწვეულია ოსმალოების სასტიკი მოპყრობით. მათ ოსმალოები უბრალო შემთხვევისთვის ჯოხით სცემენ, ჯარში გაიწვიეს ჯერ თითქმი ყველა მაჰმადიანი 18—40 წლამდე, სახლებში არავინ დაუტოვებიათ. ისე, რომ ყანებს ქალები ამუშავებენ. მიუხედავად ამისა, რომ ეს ქართველ მაჰმადიანთა ჩვეულებებს ეწინააღმდეგება. ჯარს არც ტანისამოსს არც ჯამაგირს აძლევენ და ცუდად ჰკვებავენ. დაიწყო უკმაყოფილება და მოსალოდნელი გახდა აჯანყება, რის გამოც ოსმალოებმა დაითხოვეს 30—40 წლამდე. ყარაულებად ყველგან ადგილობრივი მაჰმადიანები დააყენეს. ოსმალოს ჯარი 3000 კაცამდეა, ამასაც ბათომში გზავნიან. ახალციხეში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელად ჩამოსული ალექ. აზნაურიშვილი ოსმალოებმა მიიღეს, როგორც უბრალო მცხოვრები და განაცხადეს, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს არ მიიღებენ.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი. ივლისის 18. საომარი ცნობა.

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი: ლანსის ჩრდილოეთით ვილლერ-ბრეტონის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. საღამოთი ბრძოლა გაძლიერდა. დამით ბრძოლა იყო იპრის სამხრეთ-დასავლეთით და ვილლერ-ბრეტონის აღმოსავლეთით მტერმა იერიშები განაახლა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: გენერალ ბომეს ლაშქარი მთელი გუშინდელი დღე იბრძოდა. მტერმა ახალი დივიზიები მოიშველია და საარტილერიო მზადების შემდეგ კონტრიერიშები მოიტანა არდრის სამხრეთით, აქ ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. იქ, სადაც მტერმა შესძლო ჩვენს ბანაკში შემოჭრა, ყველგან გავრეკეთ იგი. კურსის სამხრეთით იერიშით ავიღეთ მაღლობი და დავატყვევეთ რაზმი, რომელიც ამ მაღლობს იცავდა; დ-ვატყვევეთ ამ პოლკის კომანდირიც. რეიმსის აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია. მალინის ჩრდილო აღმოსავლეთით მტერმა იერიში მიიტანა და უკუქცეულ იქმნა.

საჰაერო ბრძოლაში მფრინავებმა მტრის 23 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბერლინი. ივლისის 18. ენსა და მარნას შუა ფრანგებმა იერიში მოიტანეს ჩვენს ბანაკზე და დაიპყრო ნაწილი ტერიტორიისა. ჩვენი სათადარიგო ნაწილები ბრძოლაში იქმნა ჩართული.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. ივლისის 18. საარტილერიო ბრძოლა ორივე მხრით ზომიერად სწარმოეს. შენიშნეს, რომ ერიხო იორდანეს რაიონში მტერს ჯარი გადაეყავს.

სხვა ფრონტზე ახალი არაფერი მოხდარა.

საქართველოს სამხედრო გზა

(ბოლშევიკების საუბარი).

საქართველოს სამხედრო გზის ჩვენი ჯარის მიერ დაკავების შემდეგ სადგურის წიგნებში შემდეგი საუბარი აღმოჩნდა ჩაწერილი, რომელიც ბოლშევიკურ შტაბებს თუ სხვა დაწესებულებებს ერთმანეთში ჰქონდათ პირდაპირი მავთულიო თუ სხვა საშუალებით.

10 ივლისი. **ბალთა კავკავი.** სიდოროვ, ხება მოგვეცით კობისთვის გავატაროთ 50 ურემი სიმინდი. ტელეფონთან **ჯარიან ბალტა-კავკავია.** როტა მოვიდა გამოსაცვლელად? **პასუხი:** 1 ბათალიონის მეოთხე როტა მოვიდა ავტომობილებით. გვეკითხებიან საკვებს თუ მოგვცემენო.

რიტა მოვიდა, ტყვიისმფრქვეველი არ არის. ტყვიისმფრქვეველთა მსროლელი გამოსაცვლელი ხაღხი არ არის. ჩვენც ჩავბარებთ ტყვიისმფრქვეველს და წავალთ.

ტელეფონთან **ლარსი—კავკავი.** 3 და 4 როტა გამოსცვალა. მათთვის სასმელ-საჭმელი არ არის.

მე მინდა დაველაპარაკო ჯარების მთავარ-სარდალს ეგოროვს. **პასუხი:** ის აქ არ არის, ის პოზიციაზე წავიდა პიატიგორსკში.

ჯარიან—ბალთა. ტყვიისმფრქვეველთა მსროლელნი მოდიან აქეთ თუ არა? **ბალთა:** არა. **ჯარიანი:** რისთვის? **ბალტა:** არ ვიცი. **ჯარიანი:** გესმის, ჩვენ აქ უპუროოთ ვართ, დავტოვებთ ყველაფერს და წავალთ.

ლარსი—ბალთა: ბალთა, გესმის? ტყვიისმფრქვეველის მსროლელები აქ მოდიოდნენ, არ მოსულან რედანტამდე—უკან გარბოდნენ. ტყვიისმფრქვეველები არც ერთი არა გვაქვს, ყველა წაღებულია. **ლარსი:** ჩვენც აქედან წავალთ. სიმშილით თავს ხომ არ მოვიკლავთ აქ.

ტელეფონოგრამმა № 22, კავკავი. შტაბს. ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა დასტოვეს თავიანთი სადარაჯოები. სად. ბალთაზე, ჯარიახს და ლარსზე გთხოვთ გამოგზავნოთ სხვა ხალხი.

მეოთხე როტის კომისარი **კურდიუკოვი.**

კავკავი, ტელეფონი № 25. გარნიზონის უფროსს ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა დასტოვეს სადარაჯოები ჯარიახში, დარჩა 12 კაცა; ლარსში—30. მსროლელები არა გვყავს. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რომ ამადამვე გამოგზავნონ ტყვიისმფრქვეველთა მსროლელნი. ტყვიისმფრქვეველებითურთ საქართველოს სამხედრო გზაზე, მეოთხე როტის ინსტრუქტორი **სერდიუკოვი.** ტელ. № 1, ჯარების სარდალს. ივლისის 10. გაუწყებთ რომ კავკავთან ტელეფონი არ ბუშაობს.

ზედაბედველი **პოპოვი.**

ბალთა-ლარსი. პოპოვი, გესმის? ტელეფონოგრამამ ნუ გადმოგვცემ. ჩვენ ხავთი არ გვაქვს და ახლა დასაძინებლათ ვწვებით. ამის შემდეგ მეტს შენთან აღარ ვილაპარაკებ.

ჯარიან-ლარსი. ჯარიახი. ჩვენთან მოვიდა ბაკსანის რაზმი 5 ქაცისაგან გამოსაცვლელად. ჩვენ უნდა ვიდარაჯოთ ციხეში და დავიცოთ სადარაჯო. ჩვენ ორი დღე დამეა მშიერნი ვართ.

ტელეფონოგრ. № 23 **ბალთიდან კავკავში** 1 ბათალიონის უფროსს. ვინაიდან ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა სადარაჯოები დასტოვეს სად. ბალთაში და ჯარიახში, გთხოვთ გამოგზავნოთ სხვები. მეოთხე როტის უფროსი **შევიაკოვი.**

11 ივლისი. **კავკაი—შტაბს.** ჯარისკაცების უმრავლესობას ხელთ აქვთ 30 ტყვიამდე და არა უმეტეს 100 ტყვიისა, გთხოვთ გამოგზავნოთ ბალტაში 3 ფუთი ტყვია.

მეოთხე როტის ინსტრუქტორი **სევერიუკოვი.**

ლარსი—ბალთა: ტყვიისმფ ქვეველები არ არის ლარსში, ჯარიახში და ბალთაში. ლარსში გამოგზავნილი ყოფილა როგორც სჩანს კავკავიდან 2 ტყვიისმფრქვეველი; ჯერ არ მიგვიღია,

11 ივლისი. **ლობი კავკავი. ლობი:** გვიპასუხეთ, ქართული რაზმი კავკავიდან მოდის თუ არა **პასუხი:** არ ვიცი. წადალ, გავიგებ და გაცნობებ. **პასუხი:** ქართული რაზმი წამოვიდა საღამოს 6 საათზე. **შეკითხვა:** ქვეითად თუ ავტომობილებით? **პასუხი:** არ ვიცი.

ყაზბეგი—ლობი. რა ამბავია თქვენთან ახალი? **ლობი:** ახალი არაფერი არ არის. **ყაზბეგი:** პოზიციებიდან რა ამბავი მოდის? **ლობი:** საქმე არ [illegible] კარგად. კავკავიდან დახმარე ძალას არ გვიგზავნიან მოგვ ხდ ბა აქაურობის დატოვება და ჯვრის უღელტეხილზე გამგზავრება. შემდეგ ვნახოთ რა იქნება. (ე.).

დაჯილდოვება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით **დაჯილდოვებულნი** არიან; წმ. **გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით** საგანგებო ცხენოსან ასეულის უფროსი, ხორუჟი სიმონ ფხაკაძე იმისათვის, რომ ოფიცერთა და ცხენოსანთა დამოწმებით მან 1) მარტის 25-ს, როდესაც მდ. ჭორახის წინ მდებარე სიმაგრეს იღებდნენ, 50 პარტიზანთან ერთად მოიგერია ხუთი იერიში რიცხვით მრავალ ოსმალო ჯარისა, თვითონ მიიტანა იერიში, უკუაგდო მოწინააღმდეგე ექვსი ვერსით და ძალიანაც დაუზარალა; 2) იმავე დღეს, რაზმის უფროსის ბრძანებით, დაიპირა სტრატეგიული ხიბრივ მნიშვნელოვანი ადგილები, ორი საათის განმავლობაში გაუძლო მტერთან ბრძოლას და წაართვა ტყვიისმფრქვეველი; 3) აპრილის პირველს ბათომში ანარიას ფორტზე, როცა ჩვენი ჯარი უკან იხევდა და ორივე მხრივ აშიშვლებდა დაკავებულ პოზიციას, ფხაკაძემ მიუხედავად იმისა, რომ მტერი ზურგიდან უვლიდა, გაუძლო მტრის ქარიშხალისებურ ცეცხლს ჩვიდმეტ საათამდე და ამით საშუალება მისცა ბათომის რაზმის დანარჩენ ნაწილებს ჩაქვასკენ გზა გაეკვლიათ, რის შემდეგ თვითონ სროლით უკანასკნელმა დაიხია და თან წაიღო ჩვენი ათი ტყვიისმფრქვეველი.

გიორგის იარაღით: საგანგებო ცხენოსანთა ასეულის შტაბს-კაპიტანი მიხეილ კანდელაკი იმისათვის, რომ ბათომის ოპერაციების დროს მარტის 3-დან აპრილამდე ყველა ბრძოლაში გამოიჩინა სამაგალითო ვაჟკაცობა და მამაცობა, გამოსჩნდებოდა ყოველთვის სახიფათო ადგილას, და იბრძოდა აუღელვებლივ და მედგრად, რის გამო ცხენოსანთა ასეული მოქმედებდა ყოჩაღად და მტერსაც დიდი ზარალი მიაყენა.— მე-12-ე ქართულ მეისრეთა პოლკის სამოსწავლო კომანდის უფროსი შტ.-კაპიტანი ხვედელიძე იმისთვის, რომ საჩხერე-ჭიათურის რაზმის უფროსის წერილობით დამოწმებით, თან ივნისის 30 ს. მისდამი რწმუნებულ კომანდასთან ერთად ბრძოლით აიღო სოფლები: ქორეთი, კოლუათი, საერხი და დაბა საჩხერე, გასწმინდა ეს ადგილები ავაზაკთა ბრბოებისგან და გამოამეღავნა მეტად საეჭვარი მამაცობა, ვაჟკაცობა და უშიშრობა. ხელს აწერს სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გაკათლების სამინისტრო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა და თანახმად საქართველოში სკოლის გაეროვნულების გახსნა-ოფიციალურად [illegible] ტფილისში საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის დროებითი კურსები იხსნება, რომელიც 1 მარიამობისთვეს დაიწყება და თვე ნახევარს გასტანს. წაკითხული იქნება ლექციები: ფსიქოლოგიიდან და პედაგოგიკიდან, სახოგადო და ქართულ ენათმეტყველებიდან, ქართულ ძველ და ახალ წერილობის ისტორიიდან, ქართველი ერის ისტორიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, სამათემატიკო საგნებიდან, ფიზიკიდან, ბუნებისმეტყველებიდან, სამათემათიკო და სახოგადო გეოგრაფიიდან.

მსმენელებად იქნებიან საშუალო სასწავლებლის ქართველი მასწავლებელნი, როგორც სასწავლებლების გამგეობათა მიერ არჩეულნი, ისევე პირადად მსურველნი, პირველი ჯგუფის ყველა მსმენელს (ტფილისში მცხოვრებთ გარდა) საგზაო ხარჯი, ბინა და საჭმელ-სასმელი მიეცემა. მეორე ჯგუფის მსმენელებმა თხოვნა უნდა შეიტანონ და შეძლებისამებრ მათაც დახმარება აღმოეჩინება.

კურსებზე გამოწვეულთა რიცხვის ოთოდენობას თვითოეული სასწავლებლის გამგეობა სახალხო განათლების სამინისტროს საგანგებო ტელეგრამებიდან შეიტყობს, რომელსაც თვითოეული მათგანი მიიღებს. ყოველი სასწავლებლის გამგეობა მოვალეა დროულ ხებლივ აირჩიოს მასწავლებელნი, რომელნიც ზემოხსენებულ კურსებზე სახელმწიფო ხარჯზე იქნებიან. თუ ვინცობაა გამგეობის აზრით სამინისტროსაგან განსაზღვრული რიცხვზე მეტ მასწავლებელია გამოგზავნა არის საჭირო, გამგეობას უფლება აქვს ასეთი პირნიც დაასახელოს და სამინისტროს აცნობოს.

მსმენელები ივლისის 29 ს უკვე ტფილისში უნდა იყვნენ ჩამოსულნი, რადგან ლექციები სწორედ მარიამობისთვის 1-ს დაიწყება. ყველა ცნობები და თხოვნები კურსების შესახებ სახალხო განათლების სამინისტროს სამდივანმწიგნობროში (კანცელარიაში) უნდა იყოს გამოგზავნილი (პეტრე დიდის ქუჩა № 8).

სხვა გაზეთებს ვთხოვთ გადაბეჭდონ.

ახალი ამბავი

ქურდობა ავტომობილთა სადგომში. დიდი მთავრის ქუჩაზე 24 № ში მოთავსებულია ავტომობილების სადგომი, საიდანაც ეს რამდენიმე ხანია ქურდულად გაიქვთ და ეზიდებიან თუ რაიმე ქონება არის იქ. მაგალითად ამ თვის 18 ს იმავე ქუჩაზე მე-26 №-ში მდგომ მეორე ქართულ საპიორთა **როტის** ჯარის კაცებმა დაიჭირეს იმ სადგომიდან გამოტანილი ერთი დიდი ფურცელი თუთია (ცინკი) წინიო რამოდენიმე ფუთი და ერთი ჩამოდანი ავტომობილის სხვა და სხვა ინსტრუმენტებით. ყველა ეს ჯარის კაცებმა მიიტანეს თავიანთ საყარაულო სადგომში და იქ ინახება. გამოხზდველი იყვნენ რუსები, ხელის გამცლელი კი იქვე მახლობლად მოვაჭრე—მედუქნე—სომეხი. საჭიროა ყურადღება მიექცეს, როგორც ამ ავტომობილების სადგომს აგრეთვე სხვა და სხვა საწყობს, რომელიც ჯერ კიდევ უცხოელებს ამბარიათ და საიდანაც წვრილად და ბითუმათ ჰყიდიან ხალხის ქონებას.

ტფილისის ქართველ ქალთა ხაზოგადოების საჩაის „ძმურ ნუგეშის“ 1917 წლის [illegible]

1917 წლის გაზაფხულობაში მთელი [illegible] „ძმურ ნუგეშს“ ჰქონდა 114568 მან. და 97 კაპ. გასავალი 91987 მან. 71 კაპ. დარჩა წმინდა 22671 მან. 26 კაპ. ეს ნაშტი განაწილია პარტიებსა დაწესებულებათა შორის ასე: სოციალისტ-ფედერალისტებს და „სახალხო საქმის“ რედაქციას 6000 მან. ეროვნულ-დემოკრატებს და „საქართველოს“ რედაქციას 6000 მან. თავად აზნაურების წინამძღოლს დაზარალებულ მეომართა ოჯახების სასარგებლოდ 4000 მან. „ალიონელებს“ 1000 მან. და ფასაღაურში ჩვენს გასაყოფილებას 1000 მან., სულ დარიგებულია 19000 მან. დასარჩენი 3671 მან., და 26 კაპ. ინახებოდა სახოგადოების კასსაში.

სამრევლო კრება. ანჩისხატის ტაძრის სამრევლო საბჭო ამით აუწყებს მრევლს, რომ კვ რას ივლისის 21-ს წიოვის გათავებისას, ამავე ტაძარში დანიშნულია მრევლის სახოგადო კრება საქორო კითხვათა გამოსაკვლევად.

ეკლიმთა შორის. ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა სამი პროექტი ეკლიმთა და იმავე საგნის შესახებ სახელმწიფო ხასახიტაოო და სამკურნალო ძოწყობაზე საქართველოში, ექ. ვირსალაძისა (სახ. საქ. 264), ბიხეილ გედევანიშვილისა (სახ. საქ. 271) და ქართველ ექიმთა ერთი ჯგუფისა (ერთობლივ 149), ექ. ვირსალაძის პროექტი განხილულ იქნა ქართველ ექიმთა და ეუფლებისტყველთა სხდომებზე და ბევრი სჯა-ბაასის და შესწორების შემდეგ მიღებულ იქმნა დროებით ერთობის შეხოლდებამდე.

მწერალთა კრება. შაბათს, ივლისს 20 (ახალი სტილით) საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მწერალთა კავშირის საბჭოს კრება მსახიობთა კავშირის კასტორაში, განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. წევრებს და საპატიო თავმჯდომარეს დაბეჯითებითა სთხოვენ ბობრძანდნენ ადნიშნულ დროზე.

ერობის გარშემო. საერობო საბჭოდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველგან დამთავრდა. არჩევნები ტფილ, ბათუმში 2 აგვისტოსთვის გადაიდგა. ხოლო დანარჩენ ადგილებში იმავე თვის ბოლოსთვის.

ლტოლვილების განყოფილება. ქალ. გამგეობასთან რომ ბოლოდ ბოლოს გაუქმებული იქნება და მის ნაცვლად ეროვნული საბჭოთა წარმომადგენლებისაგან, ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლებისაგან.

ხოლერა. უკანასკნელ დღეებში ქალ. სავადყოფოში ითათავსეს 10 ხოლერიანი და 8 საეჭვო ავადყოფი. გარდაიცვალა 9 ხოლერიანი და ერთიც საეჭვო ავადყოფი. მოიჩა 12 ივლისის 18-ს სულ იყო 158 ხოლერიანი და 24 საეჭვო ავადყოფი.

ხოლერის გავრცელების გამო ქალ. გამგეობას დაადგინა ალარ შეიძლებოს ტფილისში ლტოლვილები და ყველა არსებული სალტოლვილო პუნქტი გააუქმოს ხოლო ლტოლვილები მე-300 ვერსტზე გადაიყვანოს.

ყაზბეგის სახალამაროლო. ყაზბეგში შესდგა საბჭოთა-საველე სასამართლო, რომელშიაც როგორც წევრები შედიან სამხედრო ნაწილთა და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები სასამართლოს გადაწყვეტილებანი ჯერ არ გამოუტანია. ნოვერ ბლალდების საქმეები განხილული იქნება ტფილისში.

განჯაში სომხის ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ განჯიდან: „აქ ბაქოს ფრონტიდან ბრავალი დაჭრილი მოდის. ბიძოლა გრძელდება. განჯაში ოსმალოებმა განცხადებები გააკრეს, სადაც აოუწოდებენ სომხებ 10 დღის განმავლობაში იარაღი აიყარეთო.

ლები. სასამერთლოს განაჩენები ჯერ არ გამოუტანია. მთავარ ბრალდებების საქმეები განხილულ იქნება ტფილისში.

სურათების გამოფენა. მკათათვის 7-დან ჟურნალ „ARS“-ის რედაქციაში მხატვ. ვლ. გუდიაშვილი და ბაკბეთ-მელიქოვის სურათების გამოფენაა. გამოფენა ღიაა 9—2 და 4—6. გამოფენა კვირას დაიხურება,

ნიკ. ჯორჯიკია. ბორჯომის სანატორიუმში ჭლექისგან გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიკოლოზ სპირიდონის ძე ჯორჯიკია, განსვენებული თანამშრომლობდე ქუთაისურ გაზეთ „ინერეთში“, დაჰბეჭდა რამდენიმე წიგნმ ფილოსოფიის დარგიდან რუსულ ენაზე, ქართულად კი ამ ბოლო დრთს გამოაქვეყნა ავტონომიის და ფედერაციის შესახებ.

მიწის გარშემო. ადმ. კომიტეტები ფულს ახდევენებდნენ გლეხებს მიწით და ტყით სარგებლობისათვის და შეგროვილ ფულით ისტუმრებდნენ ხარჯებს. შემოსავალ-გასა-

ვალს არავინ მეთვალყურეობდა და არც იწერებოდა. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მისცა საგუბერნიო კომისარებს, რომ მათ უბრძანონ, რათა მიღებული ფული დაუყონებლივ შეიტანონ ხაზინაში, და აღუკრძალონ ამიერიდან კომიტეტებს მიწის და ტყის გადასახადი მოკრიბონ. დამნაშავენი სისხლის სამართალში იქნებიან მიცემული.

✦ **მიგოსვლა ნატანებიდან ბათომამდე.** მოკლე ხანში ნატანებიდან ბათომამდე დაიწყებს სიარულს სამგზავრო და საფოსტო მატარებელი მგზავრებს ნება ექნება მცირეოფენი ხელის ბარგი იქონიონ, წონით არა უმეტეს 1000 კილოგრამისა.

✦ მე-8 სამილიციო ნაწილის კომისარის თანაშემწემ ტატიშვილმა უმცროს მილიციელს თურქესტანიშვილს მოვალეობის ასრულების ტროსცემა, რისთვისაც ტატიშვილი სამსახურიდან დაითხოვეს და დააპატიმრეს.

✦ **ხისლის ხამართლის მილიციის უფროსად** დროებით დაინიშნა ტფილისის ქალაქის მილიციის კანცელარიის საქმის მმართველი, ყოფილი ბოქაული, ჩ.ჩავი.

✦ **გაძარცვა.** ივლისის 16-ს ორჯონიკიძის ბინაზე, აკიმოვის ქ. № 1, შევიდა 5 შეიარაღებული უცნობი პირი წარმოადგინეს დამცველ შტაბის ორდერი და დაიწყეს ჩხრეკა: წაიღეს 13000 მან. ფულად, „ბრაუნინგი", „მაუზერი" და მიიმალნენ.

✦ **მკვლელობა.** ივლისის 18-ს, საღამოს 8 ს. ვორონცოვის ძეგლთან უცნობმა პირმა რევოლვერით მოჰკლა ჯარის-კაცი აკოფოვი და შემთხვევით დასჭრა ქუჩაში გამვლელი. ეჭვით დააპატიმრეს კ. გოგობერიძე.

✦ **ახალი გაზეთი.** ამ წლის ივლისის 26-დან ტფილისში გამოვა საქართველოს მთავრობის ორგანო ყოველდღიურ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".

✦ **ქურდის დაპატიმრება.** ივლისის 18-ს ღამით მილიციონერებმა დაიჭირეს ცნობილი ქურდი, რეციდივისტი და მძარცველი ზაქარია წივილაშვილი (მეტსახელად „წაბუხა") ღამით მე-2 კომისარიატიდან წივილაშვილი გაიპარა, მაგრამ ისევ დაიჭირეს.

✦ მეციხოვნე ჯარის უფროსმა დააპატიმრა ცრუ შტაბს-კაპ. ნიკ. ენიხოვი.

✦ **ტფილისის უნივერსიტეტისათვის.** სტეფანე თიროშვილმა უნივერსიტეტის გამგეობას ჩამოუტანა ანტონ თოიძის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სადგურ მანგურიაში ტფილისის უნივერსიტეტის სასარგებლოდ გაუმართავთ სადაზო და წმინდა შემოსავალი 6,870 მან. ხარბინის რუსულ-აზიურ ბანკში შეუტანიათ. საღამო გაუმართავთ ანტ. თოიძეს, სტ. თიროშვილს და მ. გაწერელიას, გულმხურვალე დახმარება აღმოუჩენიათ ანასტასია თოიძეს, სიმონ ცეცულაძეს, სურენოვს, საპელკინს, ქ-ნ გოლფელდს, დოევასას და სხვ. საგულისხმიერია, რომ ამ საქმეში უცხოელებსაც გულმხურვალე მონაწილეობა მიუღიათ. ეს თვით სამშობლოში მცხოვრებთათვის წასაბაძი მაგალითია.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში ი. მჭედლიშვილის წერილში („ერთი სათქმელიც") შეცდომით დაბეჭდილია დედანში წაშლილი სტრიქონები. რედაქცია სრულებით არ იზიარებს ავტორის აზრს გლეხობის შესახებ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

ტფილისში მყოფ ამხანაგებს მოვაგონებთ, შემოიტანონ საწევრო გადასახადი და ვინც ჯერ არარის ჩაწერილი ჩაეწერნონ პარტიის ბიუროში, ყოველ დღე (ლორის მელიქოვის ქ. № 1).

მღვდლის მიხეილ გაგლოშვილის ხსოვნა

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ივლისის 16 დილის ათსაათზე გარდაიცვალა ბ-ნ მელიქიშვილის საავადმყოფოში მღვდელი მიხეილ გაგლოშვილი. ისიც მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს საშინელ ომისა, სადაც ის მღვდელად მსახურობდა ორ წელიწადზე მეტს, და სადაც დასნეულდა და ბოლოც მოუღო მას სენმა. თუმცა დიდი ნაწილი საზოგადოებისა ვერ იცნობდა მას, მაგრამ მისის უდროოდ წუთისოფლის გამოსალმებით ბევრს მოსწყდა გული და როდესაც გაიგებენ მის სიკვდილს მისი ყოფილი მრევლთაგანნი, ღრმად დარწმუნებული ვარ, თავზარს დაეცემს მათ. მ

ყოველთვის და ყველგან მოძღვარიც იყო და მეგობარიც თავისი მრევლისა. ამის დასაბუთებლად მაგონდება: როდესაც მან ერთი სამრევლო მიატოვა და მეორეში მიდიოდა, ხალხი შემოხვია და საშინელის გულისწყრომით უსაყვედურებდა: რა დაგიშავეთ შე დალოცვილო რომ გაგვირბიხარ?! თუ დაგაკლეთ რამე შეგისრულებთ, დარჩი ისევ ჩვენთანა, ძღვის საჩვენო მღვდელი გიპოვნეთ, შეეყუეთ ერთმანეთსა და შენ კი გვდალატობ. მისმა მოკლე და სამართლიანმა პასუხმა: „არც თქვენა ხართ დამნაშავენი, ჩემო მეგობარო, და ვგონებ არც მე მიმიძღვის დანაშაული თქვენს წინაშე, დამსაშავეა თვით ცხოვრება", დაამშვიდა ალში. გამოთხოვების დროს ხალხმა უსურვა მშვიდობიანობა და მიაძახა: „კარგი იყავი და ღმერთმა ყველგან კარგი მოგცეს". მიუხედავად ამისა, რომ მაშა არც ერთს პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და ახლილად არ მუშაობდა 1904—1905 წლ. განმანთავისუფლებელ მოძრაობაში დიდი გულწრფელი თანამგრძობი იყო ამ მოძრაობისა. მისი ოჯახი ხშირად ყოფილა გულუბვი და წრფელი მასპინძელი დევნილი იმ დროის თავისუფლების მოციქულებისა—პროპაგანდისტებისა. მაშამ შენიშვნა და საყვედურიც კი დაიმსახურა თავის ბეთვალყურის—ბლაღოჩინისა; „მამაო მიხეილ გაიგებს არქიელი და არც შენ წაგიყვა საქმე კარგად და არც მე, მოიშორე თავიდან ეგენი, თორემ გეებმები", მახსოვს ძმას გულისწყრომა ამის შესახებ, რომელიც მე გამიზიარა და გადაწყვეტილად და მკვახეთ მითხრა: „იცი ბიკო! თუ ჩვენ იმდენი უნარი არა გვაქვს, რომ ხალხს ყინ გაუძღვეთ, ნუ გადაეღობებით, ფეხდაფეხ მივყეთ მაგ და ნუ ჩამოვრჩებით ბაინცა". მიშას უდროოდ სიკვდილმა გვიღალატა სწორედ იმ დროს, როდესაც ოსების საკითხმა ჩვენში უკეთესართი ხასიათი მიიღო. მაშა ტომით ოსი, გრძნობით, გულით და სულით გულწრფელი ქართველი შეუმჩნეველად მუშაობდა ოსების გამოფხიზლებაში, ის ყოველთვის ებრძოდა ოსების შოვინისტურ პოლიტიკას და სასტიკად ამხილებდა ასეთი პოლიტიკის სულის ჩამდგმელების ბელადებს. დაუვიწყარი მეგობარი მაშა! შენის სიკვდილით ფრთა შეკვეცილი, ენერგიით სავსე შენი ძმა გიორგი განაგრძნობს ბრძოლას შენს მაგივრადაც ოსების გამოფხიზლების პოლიტიკაში, შენ კი განისვენე წყნარად საიქიოს ისე, როგორც უწყინარი იყავი სააქაოს. საუკუნო იქნება შენი ხსენება ჩვენ შორის.

ვახილ ხახიშვილი.

დუშეთის მაზრა

უწინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივ მაჯის ცემის მედგარმა დარაჯმა და საქართველოს საბედნიეროთ—თუ საუბედუროდ გადადგმულ ნაბიჯთა სწორმა ამწონ-დამწონმა არაგვის ხეობამ, საქართველოს ამ დიალექტიკურ მომენტშიაც ხმა ამოიღო. ვაი რომ დღევანდელი გაძოსვლა არაგვისა მამულიშვილობის სახეს კი არ უხვეჭავს, არამედ სირცხვილს აჭმევს აქაურ მცხოვრებთ. ჩამორჩენად, სიბნელემ და სიდუხჭირემ კარგი ნიადაგი მოუმზადა საქართველოს ბედნიერების დაუძინებელ მტერთ და დუშეთის მაზრას მოძმეთა სისხლში გაასვრევინეს ხელი.

ამ ვერაგულ მოქმედების უმანკო მსხვერპლნი საცოდავ სახეხაობას წარმოადგენს. ნარეკვავის მიდამო დახოცილთა სასაფლაოებით არის მოდებული; ბევრი ვერ ეღირსა მიწის წაფარებასაც კი და ნადირის საჯიჯგნად გდია დღესაც. ს. ნატახტარის მცხოვრებნი ბევრს პოულობენ საქართველოს დიდებისთვის გაწირულ მცირე წლოვან გმირთ და მიწას აბარებენ. ხელუხლები და გაუვალი ტონუანთ ჭალა მცხოვრებთა ლაპარაკით სავსია ზეკვდრებით, რადგანაც დღესაც მეტად ცუდი სუნი გამოდის იქიდან. ვერც ვინმე შესულა ამ ჭალაში, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ იქ ვითომ ხუთამდე ყაჩაღი ინახავდეს თავს; არიან მნახველები.

ბევრი სინანულით იგონებს აქ დანთხეულ ძმათა სისხლს, მაგრამ ბევრს სიცილად არ ჰყოფნის და მცირე წლოვან ჯ.-კაცთა ხოცვას ისე მოგვითხრობთ, თითქოს თურქ-ოსმალონი არა ჯარის წინსვლა, სოჭში. ჩვენი აზრით—ეს საპირეოა წინსვლა ქალ. ტუაფსემდის და თუ შეიძლება მანამდის სანამ ჩვენ ჯარს არ შეხვდება უკრაინის ჯარი. ამნაირად ჩვენი აზრით შესაძლებელი იქნება საზღვრების აღდგენა და მხარის უზრუნველყოფა ბოლშევიკების ახალი შემოსევისაგან.

რაც შეეხება პატივცემულ გენერალს უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი მოსვლა პირდაპირი ხსნა იყო მთელი აფხაზეთისა. თუ საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაარჩა ძმური დამოკიდებულება ეს იქნება მხოლოდ მისი წყალობა და ამ ახრივ მისი ღვაწლი აფხაზეთისა და საქართველოს წინაშე დაუვიწყარი დარჩება ჩვენი ერის ისტორიაში.

გენერალი აფხაზეთის ეროვნულ საბჭოსთან სრული თანხმობით მოქმედებს, ხოლო ამავე დროს მთავრობის გეგმა და სუვერენული უფლება რჩება შეულახველი.

გენერალს უკვე ყველა დიდის პატივისცემით ეპყრობა და კიდეც დაიმსახურა.

აღსანიშნავია გენერ. მახნიაშვილი სიტყვები. „პარტიები ახლოლ რჩევით უნდა დაგვეხმაროთ!" არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ასეთ ბრძნულ მოსაზრებას. რუსეთი სწორედ პარტიულმა ძრავალ-მთავრობიანობამ დაღუპა და თუ ჩვენშიც იქნა ეს პარტიული ძრავალ-მთავრობიანობა, ჩვენც გაგვანადგურებენ.

ბოლშევიკების შემოსევით არ დასრულდა ახარეა და ბაშინ, როცა რესპუბლიკის ჯარი გენერალის ხელმძღვანელობით გაგრაში ებრძოდა ბოლშევიკთა გაფთრებულ ბრბოებს, კოდორის მახლობლად თ. ალექსანდრე შერვაშიძის მამულში გადმოსხეს ოსმალეთის დესანტი ოთხასიოდე ასკერით, ძრავალი ვინტოვკით, ტყვიისმფრქვეველით და მილიოხახეევრი პატროხით; მაგრამ გენერალი აც აქ დაიცნა, და მთავრობის გეგმის მიხედვით აფხაზთა ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით 24 საათის შემდეგ ჩამოართვა მოავალი იარადი და მილიოხი პატროხა და დესანტი—კი გაისტუმრა ბათომში.

ეს ავანტიურა მოაწყვეს აქაურმა ორიოდე მსხვილმა ფეოდალებმა და რამდენიმე ინტელიგენტმა, რომლებიც პირდაპირი მოწაფეები არიან გალუბცოვ-ალფეროვებისა. ეხლა ამათ გვარებს არ ჩამოვთვლით, რადგან თავის დროზე გამოირკვევა და ალბად შესაფერ „ჯილდოსაც" მიიღებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასე თუ ისე პატივცემული გენერალი შესძლებს ადადგინოს მხარეში სრული წესრიგი.

წესრიგის აღდგენის შემდეგ—კი საპირეოა მოეწყოს ცხოვრება ისე როგორც შეჰფერის სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

აქ—კი ჯერ ჯერობით ცხოვრების არც ერთი მხარე არ არის სათანადოდ ეოწესრიგებული, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილებში გვექნება ლაპარაკი.

ი. კორტი.

ჩვენი მოწოდება

დ. ხარაგოულში დაარსდა ინტერპარტიული ბიურო (სოციალისტურის შემადგენლობით), რომელიც მიზნად ისახავს ხალხის პოლიტიკურად გაწვრთნას, მომზადებას; საამისოდ იგი მართავს უქმე დღეებში სოფლად აკადემიური ხასიათის ლექციებს სხვა და სხვა თემაზე მაგ. მონარქია, კონსტიტუციონ. მონარქია, რესპუბლიკა, პარლამენტარიზმი, ოთხფორმულიანი საარჩევნო სისტემა და სხვა. თვით დაბაში ბიურო თავის მუშაობას უფრო ფართო მასშტაბით აწარმოებს ინტელიგენციაში, რომ ეს უკანასკნელი მომზადებული ხალხში გავიდეს და დღეს სოფლად მომუშავე მცირე რიცხვს ინტელიგენციისას დაეხმაროს, შრომა შეუმსუბუქოს.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ მუშაობას ამას მოწმობენ თვით ხალხის სიტყვები.

პირველი დებიუტი ხსენებულ ბიუროსი მოხდა წარსულ კვირას, ივლისის 14-ს.

პირველად ჩვენ გვხვდა წილად ხარაგოულის რაიონის ერთ-ერთ სოფლის საზოგადოებაში გამოსვლა მოხსენებით; მოხსენების შემდეგ ხალხმა მადლობა გამოგვიცხადა და დაახლოვებით შემდეგი გვითხრა; „მობრძანდით ხოლმე, ბატონო, ხშირად, ჩვენ შეუგნებელი ხალხი ვართ, არაფერი ვიცით, გაგვაგებინეთ სადა ვართ, რაგვარ ვართ, ვინ არის ჩვენი მტერი, მოყვარე. სიმშილობას განვიცდით! ჩვენ გვეგონა ეს ახალი მთავრობის ბრალი იყო; ახლა მივხვდით რომ ეს ასე არ ყოფილა, მოდით ხოლმე ბატონო, მოდით ხოლმე ხშირად".

ხარაგაულის ინტელიგენციას სასწრაფოთ აუღია აღდგა ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობისათვის და თავისი მიმდინარე საქმიანობა მართებულის გზით წარუმართავს. ჩვენ წრფელის გულით მივესალმებით ამ ხალხის გათვითცნობიერების დიად იდეას, ხარაგოულის ინტელიგენტურ წრეში რომ დაბადებულა; უსურვებთ ხნენებულ წრეს მეტს სიმხნესა და ენერგიას ამ სახის მუშაობის სისტემატიურად წარმოებისთვის.

მაგრამ ხარაგოულის რაიონი ეს წვეთია ზღვაში! აუცილებლად საჭიროა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ყველა დაბებსა წაბაძონ ხარაგოულს ამ ყოვლად მიუცილებელ საქმეში.

ამერ - იმერეთის ინტელიგენცია, დღეს სოფლიდან და დაბიდან საქართველოს დედა—თუ საგუბერნიო ქალაქებში რომ გაკრებილან, დაუყოხებლივ უნდა დაბრუნდნენ შინ და ზევით დანახელებულ მუშაობას სათავეში მოექცხეს! მოიგონეთ შვეიცარიელი მოსწავლე ახალგაზრდობის როლი შვეიცარიის დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმეში გაიხსენეთ იგი ბურგზე „საკით" (ჩანთა) როგორ დაძოწოდა და დაძვრებოდა სოფლიდან სოფლად და შვეიცარიის გლეხობის გახვითარების საქმეს ამ წესით აწარმოებდა. ჩვენა? ჩვენ „რა ვაკეთეთ, რას ვმეცადეობდით?" ცენტრში ძოგვიყრია თავი და ლამაზ და ალტაყელ სიტყვითა რიბა-ტეხა დასასრული არ უჩანს სხვა და სხვა საჭიროთ თუ შედარებით უფიშვხელო კოეფიციენტებ! და ხშირად ჩვენი ლამაზი სიტყვიერება ხელს უშლის ცენტრში მომუშავე ჩვენს ამხანაგებს და ხაკლებათ ეხმარება მათ! ამხანაგებო! დაუბრუნდით პერიფერიებს! დარიგდით პროვინციებში და იქ გაიჩაღეთ ხემოდ აღიარებული ხასიათის მუშაობა. დეე, ცენტრში ჩვენი უფროსი ამხანაგები იყვნენ, ეროვნულ პარლამენტში და მთავრობაში ოთ მოქცეულან და ჩვენი ნორჩი, დემოკრატიული სახელმწიფოს საალმაშენებლო საქმეს აწარმოებენ, მათ დავეხმაროთ სოფელში, ხალხში მუშაობით; „გაგვაგებინოთ რანი ვართ, ვინ არის ჩვენი მტერი—მოყვარე" აი მწარე ამონაკვნესი ჩვენი ბნელით მოცული გლეხობისა! მივიდეთ მასთან, გავაგებინოთ, ვასწავლოთ მტერი. ვაჩვენოთ მოყვარე.

ეს ინტერპარტიული ბიუროები გავხადოთ საინფორმაციო ბიუროდაც. მთავრობა და ხალხი ერთმანეთს დაეაბლოვოთ, გავხდეთ მთავრობისა და ხალხის შემაერთებელ ხიდად, რომ ამ ხიდზედ მთავრობისკენ გადაგვქონდეს ხალხის სულის კვეთება, ხალხის წყლული და გაჭირვება, და მაშინ მთავრობასაც უფრო ნაკლები შეცდომები მოუვა, ხალხიც შეიყვარებს ჩვენს მთავრობას, შეიყვარებს ჩვენს დემოკრატიულ წესწყობილებას და მის დასაცავად არ დაიშურებს არც საკუთარ სისხლსა და არც საკუთარ სიცოცხლეს.

მოკლედ, ჩვენ საპიროდ ვსცნობთ ასეთი ბიუროების დაარსებას ამერ-იმერეთის ყველა დაბებში. საამისო ძალებიც ეფიქრობთ, საკმაოდ მოგვეპოება, თუ კეთილ ინებებენ და ამხანაგები პროვინციას დაუბრუნდებიან! ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ყველა დაბებში გაებმის ქსელი ასეთი ბიუროებისა ამ ახლო მომავალში და მუშაობაც გაჩაღდება, ისმინეთ, ყურად იღეთ ჩვენი მოწოდება

ვანო დეკანოსიძე

აგარაკი თუ სასწავლებელი?!

(კახეთის და ქიზიყის ხამღვდელოების ხაყურადღებოდ)

რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ნამდის აღწევს ხმა, რომ თელავის საასულიერო სასწავლებლის შენობაში ზაფხულობით ბლომად იკრიბებიან სხვა და სხვა „რანგის" მოაგარაკენი, რომელთაც აღნიშნულ სასწავლებელთან არ აქვთ არი დამოკიდებულება არა აქვთ. წარსულის მაგალითით, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, წელსაც ბლომად მოუყრიათ იქ თავი უცხო მოაგარაკეებს.

როგორც ერთი დაინტერესებული პირთაგან, ვიგებ, ამ ბოლო ხანებში ბედიღლიანთ, საპირეოდ ერაკლ. მიღებიანი ქიზიყ. ეპარქიის ეპისკოპოსი, ეკლესიის ეროვნული საკუთრებასაც შეადგენს იგი,—ყურადღება შემდეგს:

1. ვის განკარგულებაშია აღნიშნული სასწავლებლის შენობა?

2. აქვს თუ არა სასწავლებლის გამგეს მინიჭებული უფლება, დაიყენოს სამღვდელოების კუთვნილ შენობაში, თუნდაც საზაფხულოდ, სხვა და სხვა უცხო პირები, რომელთაც არავითარი კავშირი აღნიშნულ სასწავლებელთან არა აქვთ, და რომელნიც „საზოგადო მოწყალებილებას ან ქველ-მოქმედებას"—გამოქცეულებსავით—სრულიადაც არ საჭიროებენ?

3. რა პირობებში უთმობენ ამგვარ მოაგარაკეებს ოთახებს, ქირით თუ სრულიად უსასყიდლოდ?

4. თუ ქირით,—სად მიდის ან რას ხმარდება ამ გზით შემოსული ფული?

5. საზოგადოდ,—რამდენად მიზანშეწონილია მთავრობის სკოლების შენობების აგარაკად გადაქცევა უცხო პირთათვის ზაფხულობით და კერძოდ, რამდენად ხელსაყრელია ქონებრივად ამგვარი მოვლენა თვით კახეთის და ქიზიყის სამღვდელოებისათვის, რომელიც ყოველ წლივ თავის გამოფხეკილ ჯიბიდან საგრძნობელ თანხას იხდის აღნიშნულ შენობის შესანახად და შესაკეთებლად?

ველით განმარტებებს ვისგანაც ჯერ არს.

დაინტერესებული.

შეკითხვა

ახალ-სენაკის მაზრის კომისარს.

თქვენ ივნისის შუა რიცხვებში გამოაცხადეთ თვის რეკვიზიცია, რომლის ძალით მშრომელ-დამშეულ და მუშა-ლარიბ გლეხებს თვა ჩამოართვით ჩალის ფასად, ფულს დაჰპირდით და კვიტანცია დაურიგეთ. თქვენი „სიტყვის" თანახმად გლეხები მიიღებდნენ თვის ფასს არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან თვის კონფისკაციისა. ამაში მუშები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ. ისინი ორს თვეზე მეტია, რაც თქვენთან, კომისარიატში, დაიარებიან და არაფერს ღებულობენ, გარდა დაპირებებისა. არც პრესასა და არც გლეხების პირად უკმაყოფილებას ყურადღებას არ აქცევთ. აშკარად გამოუცხადეთ საწყალ სოფლის მუშებს, რომ ფულს ვერ მიიღებენ. რას აწუხებთ?!

გ. მუშიშვილი.

სახალხო მასწავლებელთა ცხოვრება

(წერილი ქუთაისიდან)

ახალი ამბავი არ არის და ყველას კარგად მოეხსენება, რომ სახალხო მასწავლებელი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სისტემატიურ ადპერიოდიულ სიმშილსა და სიშიშვლეს ითმენს; იყო ძველად გაჭირვებული, დარცხვენილი, საზოგადოებაში გამოუსვლელი, მორიდებული, და ასეთია დღესაც; თუმცა გონებრივი მხრით გადასდგა ნაბიჯი, მაგრამ ნივთიერი მხრით ის ერთსა და იმავე წერტილზე სდგას და ეკონომიურად ისევ დიდ კრიზისს განიცდის, არ გათენდა იმისთვის; ყოველი დარგის მუშას ეშველა, ყველას გაუღიმა ბედმა, მასწავლებელი კი დღეს უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. 25—30 წლის წინად მასწავლებელს ეძლეოდა 15—20—25 მანეთი და ასეთი პატარა ჯამაგირით თუმც ღარიბად სცხოვრობდა, მაგრამ პური, მჭადი, ხორცი და ყველი იაფად იყო და კუჭი მაძღარი ჰქონდა, რადგან ათი შაურის სანოვაგე დღეში საკმარისი იყო მისთვის. ამავე დროს მას ეძლეოდა საზოგადოებისაგან რამდენიც უნდოდა შეშა—განათებით, ჰქონდა ბინა სკოლის შენობაში და იმსახურებდა სკოლის დარაჯს. ხშირად მასწავლებელს მთელი კვირის განმავლობაში არაფერი არ დაეხარჯებოდა: საზოგადოებაში ბევრი იყო რიგიანი ოჯახის, გულკეთილი და უხვი მასპინძელი, მოხწავლის მამა, რომელიც ხშირად მოიპატიჟებდა ღარიბ მასწავლებელს ოჯახში პურ-ღვინოზე და პატივს სცემდა მას; დასჭირდებოდა მახწავლებელს სახლში, ან მახლობელ ქალაქს წასვლა, ცხენსა და ურემს ითხოვებდენ უფასოდ; ეი ასეთი ნამუსიანი და სინდისიერი იყო აღჭურვილი 25 წლის წინად სოფლის ხალხი. მე

თვითონ, როდესაც ვმსახურებდი იმ დროს რაჭისა და შორაპნის მაზრებში მასწავლებლად მეძლეოდა ჯამაგირი წელიწადში 200—240 მანეთი ცოლ-შვილიანი ვიყავი და არხეინად ვცხოვრობდი. დღეს ქვეყანა და ადამიანიც მოიწამლა, კაცი კაცის მეამელი შეიქნა; ნამუსი და სინდისი მეტმა ნაწილმა ანგარებაში გასცვალა, აუარებელი ჩარჩი და ტყავის გამძრობი გაჩნდა, გაუმაძღრობას დასასრული აღარ აქვს; სოფლის მუშები, ვაჭრები და ხელოსნები მგლებად გადაიქცენ; ფუთი ფქვილი 120 მანეთად გახადეს, გირვანქა ყველი 7 მანეთად და ერთი კვერცხი სამ აბაზად: ტანისამოსსა და ფეხსაცმელებს ხომ ვერ ახსენებთ, 400—500 მანეთი აღარ ჰყოფნის სათითოეულოდ. განა შეუძლია დღევანდელ პირობებში სახალხო მასწავლებელს ცხოვრება?! შეშა-განათებას აღარ აძლევენ სოფელში, დარაჯი ხომ თვითონ გახდა ბატონი და მას როგორ ემსახურება! სოფლის ხალხი ფულის მოძიებაში იღრჩობა და მეორეს და ყველს მუქთად გაუგზავნის კი არა, არც მიყიდის. ერთი წლის წინად, როგორც იყო, მთავრობამ გაუდიდა მასწავლებელს ძირითადი ჯამაგირი 120 მანეთამდე, ამასთანავე „დღიურის“ სახელით დაუნიშნა თვეში 90 მანეთი, რაც შეადგენს თვეში 210 მანეთს, მაგრამ დღეს ეს ფული უდრის 210 შაურს და მასწავლებელი ეხლა თვითონაც ვერ ირჩენს მარტო თავს, თორემ ოჯახს რა საშუალებით გამოჰკვებავს!

მასწავლებელს მაკადონობა კლასში აღარ შეუძლია, ხასიათი მოშლილი აქვს, თავს ავადმყოფად გრძნობს, ცოლშვილი სიმშილით უკვდება, თვითონ მას ფეხსა და ტანზე აღარ აცვია, ფეხშიშველი და უშარვლოდ ვერ შეაბიჯებს სასწავლებელში; ბოსწავლეთა მშობლები აღარ იბრალებენ მას, ერთ ჯამ ფქვილს უფულოდ არ აძლევენ, მთავრობა ანარქიასთან ბრძოლას უნდება, ფინანსიურ კრიზისს განიცდის და მასწავლებლისთვის სად სცალია. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მასწავლებელი საშინელ მწუხარებას განიცდის, ხვალ რა მოელის მის ოჯახს არ იცის და ასეთ მდგომარეობაში მყოფს მოსთხოვეთ სალად აზროვნობა და სკოლაში ნორმალურად მუშაობა. დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლები ამგვარ ტანჯვაში ვართ და ძე მგონია არც აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებლები იმყოფებიან უმჯობესს მდგომარეობაში.

კვირას ამ თვის 7 და 13 რიცხვებში ქუთაისში, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, მოხდა ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრნენ ბროვინციებიდან კურსებზე ჩამოსულნი მასწავლებლებიც. რიცხვით 70 ძმე. კრება ეახსნა მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ ვლ. ნაცვლიშვილმა, გააკეთა მოხსენება დღიურ საკითხებზე და წინადადება მისცა დამსწრეთ აერჩიათ კრების თავმჯდომარე და მდივანი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ერელი რაიონის მეთვალყურე გ. ჭუმბურიძე, მდივნად ვარ. გელოვანი. პირველი და მთავარი საკითხი იყო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა, ე. ი. ძველი მიღებული ჯამაგირებით დაკმაყოფილება, და დღევანდელი ცხოვრების პირობების მიხედვით ჯამაგირების თუ „დღიურების“ გადიდება. ამ მწვავე და თავსატეხ საკითხებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია; მასწავლებელთა უმრავლესობას არ მიუღია ჯერ კიდევ ძველი რამდენიმე თვის დარჩენილი ჯამაგირი და არც იციან, როდის მიიღებენ; რაც შეეხება დღეს არსებულ ჯამაგირს, ორ ფუთ ფქვილსაც აღარ ჰყოფნის. ასეთი აუტანელი მდგომარეობის შესახებ მრავალი ხმა და ხმა აზრი გამოითქვა კრებაზე, მაგრამ საშუალებას ვერავინ მიაგნო. ბოლოს კრებამ დაადგინა: ა) არჩეულ იქნას სამი დელეგატი, რომლებსაც დაევალოს ერთად სამოსწავლო კომისარიატის წარმომადგენლებთან, ინახულონ გუბერნიის კომისარი, მოახსენონ მათ მასწავლებელთა გაჭირვება და სთხოვონ, ყველა დარგის დაწესებულებებში შეჩერებულ იქნას ახალი ჯამაგირის დარიგება და ჯერ დაკმაყოფილებულ იქნას ძველი დარჩენილი ჯამაგირებით სახალხო მასწავლებლები; ბ) აგრეთვე არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს დღევანდელი პირობების მიხედვით დღიური ჯამაგირის შეშუშავება, რომლითაც შესაძლებელი იქნება მასწავლებელმა გამოკვებოს თავისი ოჯახი; გ) მთავრობასთან საფინანსო კომისიაში დაინიშნოს მასწავლებელთაგან ერთი წარმომადგენელი, რომელმაც თვალყური ადევნოს სურსათის გაძვირებას, თუ გაიაფებას და იმის მიხედვით გამოიანგარიშოს და შეადგინოს ყოველთვიური ხარჯთ-აღრიცხვა „დღიურების“ გასადიდებლათ, თუ შესამცირებლად. დ) მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები და მიეცეს წინადადება სამოსწავლო მთავრობას, რომ მასწავლებლებს თავიანთ სოფლების სკოლებში ერგოს ადგილი და იქნან გადაყვანილნი, რათა მათ თავის ოჯახში ყოფნით გაუადვილდეს ცხოვრება. ე) აღძრული იქნას შუამდგომლობა საადგილმამულო კომისიაში, რომ სახალხო სკოლებსაც ჩამორთმეული მიწებიდან მიეზომოს რამოდენიმე ქცევა, „რომლითაც ისარგებლებს სახ-ლობო მასწავლებელი. ვ) დაევალოს რაიონის მეთვალყურეებს ხაზინიდან თავის დროზე მოითხოვონ ყოველთვის ჯამაგირი და გადასცენ მასწავლებლების მიერ დანიშნულ ხაზინადარ დამრიგებლებს; ასეთ დამრიგებლებს აირჩევს თავის რაიონში კავშირის თითოეული ფილიალური განყოფილება, რომელიც ამავე დროს ასეთ პირთა-თვის განსაზღვრავს შრომისათვის ჯილდოს და მოაწესრიგებს საქმეს. გუბერნიის კომისართან გასაგზავნათ ძველი ჯამაგირებით დაკმაყოფილების შესახებ აირჩიეს ა. სულაქველიძე, პ. არაჩმია და ვლ. ნაცვლიშვილი; მეორე დღესვე დელეგაციამ ინახულა გუბერნაის კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი, გააცნო მას მასწავლებელთა მდგომარეობა და კრების დავალება, მაგრამ კომისარმა შესაძლებლად ვერ დაინახა, რომ ყველა დაწესებულებებში შეეჩერებია ახალი ჯამაგირის დარიგება და მასწავლებლები დაეკმაყოფილებია ძველი ჯამაგირით, რასაკვირველია დღევანდელი ფინანსების მოუწესრიგებლობისა გამო. მეორე კომისიაში აირჩიეს რაჭა-ლეჩხუმიდან ვ. გელოვანი, გურია-სამეგრელოდან ვ. ქობულია და ზემო-ქვემო იმერეთიდან ვლ. ნაცვლიშვილი; ამ კომისიას დაეკალა ორი-სამი დღის განმავლობაში შეიმუშაოს დღევანდელი ცხოვრების პირობების მიხედვით დღიური ხარჯი, „რომლისოდაც ადამიანს ცხოვრება და არსებობა არ შეუძლიან; ასეთი ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინოს სახალხო განათლების სამინისტროს, რომელსაც ეთხოვოს, „ძირითადი ჯამაგირი მასწავლებლისა დარჩეს იმ ნორმით, როგორითაც დღეს არის, ხოლო წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით მიეცეს მასწავლებელს იმდენი, რომ მშვიდ ლობიო-ყველით შესძლოს თავის გამოკვება.

მეორე საკითხი შეეხებოდა სწავლის დაწყებამდი კავშირის საგუბერნიო ყრილობის მოწვევას, რაც დღევანდელ დროს უმრავლესობამ მოუხერხებლად სცნო ქუთაისში ბინებისა და სურსათის სიძვირისა გამო.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ (რომელიც შედგებოდა სულ 115 მასწავლებელთაგან) დაადგინა, მიეცეს წინადადება კავშირის მთავარ-გამგეობას აგვისტოს 1—3 რიცხვებში მოიწვიოს, თუ მოსახერხებელი იქნეს საგუბერნიო ყრილობა, და თუ არა-დელეგატების ყრილობა მაინც, შემდეგი საკითხი შეეხებოდა ჭეშმარიტ მასწავლებლებს, ე. ი, იმათ, რომლებიც დაშვებულნი იყვნენ გასულ სამოსწავლო წელში დაბალსა და მაღალ დაწყებით სკოლებში მასწავლებლის მოვალეობის დროებით აღმასრულებლათ და ვერ ბოასწრეს უფლების ძოპოვება ნაციონალიზაციის შემოღებით პროგრამებისა და გამოცდის წესების შეცვლისა გამო, კრებამ მათ შესახებ დაადგინა შემდეგი: ა) სამოსწავლო კომისარიატის მიერ აღძრულ იქნას შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ასეთ მასწავლებლებს, რომელთა ვარგისობას დაამოწმებს იმ სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო, სადაც ეს მსახურობს, მიეცეს მომავალ სამოსწავლო წელშიაც კიდევ რავდენიმე თვის ვადა-უფლების შესაძენად. ბ) სამოსწავლო მთავრობის მიერ ამა წლის 22 მარტს გამოცემული საზოგადო განკარგულება (ცირკულიარი), რომელიც შეეხება უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში ნაციონალური საგნების 1918 წლის პირველ იანვრამდე დანიშნულ მასწავლებელთა დამტკიცებას, ქალაღდში მოხსენებული და ნაჩვენების შესრულებით, გავრცელდეს აგრეთვე იმ მასწავლებლებზედაც, რომლებიც დაინიშნენ ასეთ საგნების მასწავლებლად გასული სამოსწავლო წლის დამთავრებამდი. გ) ნაციონალური საგნების მასწავლებლობას იქნეს უფლება ასწავლონ სხვა საგნებიც, რომელთა სწავლება შეეძლებათ და ისურვებენ.

დ) მომავალ სამოსწავლო წლიდან ახალ ადგილებზე უუფლებო მასწავლებლები აღარ იქნან დაშვებულნი პირველ დღეს კრება დამთავრდა ნაშუადღევის 3 საათზე. მეორე კრება, რომელიც მოხდა ივლისის 13 ვარ. იმნაძის თავმჯდომარეობით, დასავლეთ საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის გამგეობის წინადადებით არჩეულ იქნა 10 დელეგატი დას. საქ. სახ. მასწავლებელთა კავშირის მხრით ივლისის 14 მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა კავშირთა-კავშირის საბჭოს პირველ საორგანიზაციო კრებაზე დასასწრებლად.

არჩევნებმა კამათი გამოიწვია და გასტანა სამ საათს. დასახელებულ იქმნა ოცამდე კანდიდატი, რომელთა რიცხვიდან ხმის უმეტესობით დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის სახელით გავიდნენ შემდეგნი პირნი;

1. ვარ. გელოვანი (ლეჩ. მაზ.)
2. ვლ. ნაცვლიშვილი (ქუთ.)
3. ვას. ქობულია (სენ. მაზ.).
4. ს. ნინიკაშვილი (ოზურ. მ.)
5. ა. ბახტაძე (ხონი).
6. მ. გავაშელი (ქუთ.).
7. მ. კუპავა (ქუთ.).
8. ავქ. ლორთქიფანიძე (ქუთ.)
9. ნ. ხუნდაძის ასული (ოზ. მ.)
10. ქ. ამეესაძის ასული (ქუთ)

ამათ მოადგილეებათ კი. ა) თ. კეშულარიანი ბ) მიხ. ბახტაძე და გ). რ. ლომინაძე.

დასასრულ კრება შეეხო ისევ კუპის საკითხს; პროვინციიდან ჩამოსულმა მასწავლებლებმა ასწერეს თავისი მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ მოზზადებული მასწავლებელი, ვისაც კი შეუძლია და უნარი შესწევს სხვა დარგში იმუშაოს, სტოვებს სკოლას და ეძებს ისეთ ადგილს, სადაც სიმშილით მაინც არ მოკვდება. ამ გარემოებას ეხლავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო მთავრობამ, თორემ მასწავლებელთა მდგომარეობა თუ ასე გაგრძელდა კიდევ ორ თვეს, ბევრი კარგი მასწავლებელი, უდალატებს თავის მიზანს და ზურგს შეაქცევს სახალხო განათლების საქმეს. უცოლშვილო მასწავლებელმა, რომ გადაიტანოს ასეთი დიდი გაჭირვება, ოჯახიანი და წვრილი ცოლშვილის პატრონი ვეღარ გაუძლებს მცირეწლოვანი შვილების ტირილს და იძულებული იქნება ასე მოიქცეს. საზოგადო მოღვაწეობაც კარგია, მაგრამ სიმშილი და სიშიშვლე მოთმინებიდან გამოგიყვანს და ყოველივეს დაგავიწყებს.

სოფელი გამდიდრდა, ნიკოლოზის დროის ფულებით მცხოვრებნი ქოთნებს სტენიან, ახალ ფულებს იწუნებენ და აღარ ღებულობენ, შვილების აღზრდა უნდათ, სკოლებში აგზავნიან, მასწავლებლისათვის კი ფქვილი და შეშაც აღარ ემეტებათ. მათ რომ შეგნება მისცათ, სანამ ახალ სახელმწიფოში წესიერება დამყარდებოდეს და ფინანსების საკითხი მოწესრიგდებოდეს, მთავრობას დაეხმარებიან და თვითონ იკისრებენ თავიანთ შვილების მასწავლებელთა შენახვას დროებით, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ხალხი უკეთესმართ გზას დაადგა, სინდისი და სარწმუნოება მათში აღარ არის, ყველაფერს ანგრევს, აფუჭებს და პირველ ყოფილი ადამიანის ცხოვრებას უახლოვდება.

სოფლის ხალხმა ინტელიგენციასა და თავის მოამაგეს პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადა, სცდილობს სიმშილით შეაწუხოს; უსაყვედურებთ თუ არა ასე უნამუსოდ ფასების აწევის შესახებ, ის ჩაშინვე ფეხსაცმელებისა და ჩითის გაძვირებაზე დაგიწყებს ლაპარაკს, თითქო ჩვენი ბრალია, რომ ძტერმა ფაბრიკები გაანადგურა, ტყავი და ჩითი არ იშოვება. მათ თავისუფლება უყვარს შეიგნეს და როგორც პირადათ მოუხდებათ, ისე მოქმედებენ. უკეთუ დღევანდელმა მთავრობამ პრაქტიკული საშუალებები არ გამონახა მალე, თან და თან ცუდ მდგომარეობაში მიდის ჩვენი ქვეყნის საქმე არა მარტო პოლიტიკურ ეკონომიურის, არამედ გონებრივ-ზნეობრივ მხრითაც.

ლადო ბზვანელი.

მოწვერილი ამბები

ბაკურიანი. საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სოფელში გამეფებული ანარქიისა ის არის, რომ ადგილობრივი ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა მოუწესრიგებელია და ყოველივე საქმეს განაგებენ უპასუხისმგებლო („ზოგიერთ“ ალაგას) კომისარები. სოფლის კომისარი თითქმის ყველგან დამოუკიდებლად ჰქმედობს და არავის წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობს ამიტომ და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დაუყონებლივ იქმნას ერთგვარი ძაფი გაბმული ცენტრსა და სოფლის კომისარებთა შორის, რათა ყველა მდაბალი კომისარი ჰისუხისმგებელი იყოს მასზე მაღლა მდგომი კომისარის წინაშე და ეს უკანასკნელი კი ყოველთვის უნდა აძლევდეს დარიგება-განკარგულებას. ამ დაქმოკიდებულების შესახებ უნდა იქნეს ჩვენ მთავრობის მიერ გამოცემული ერთგვარი წესდება, ბევრჯელ იყო ჩვენ გაზეთებში აღნიშნული ზოგიერთი კომისარების შესახებ, რომ ისინი უკანონოდ იქცევიანო. მაგრამ სამწუხაროდ პრესის და ხალხის ჩივილს ჯერ ჯერობით ანგარიში არ აქვს გაწეული, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს და უპასუხისმგებლო კომისარებს კი მხნეობას აძლევს, რათა გააორკეცონ თავისი მოქმედება, ვინაიდან გრძნობენ რომ არავის წინაშე პასუხგებელი არ არიან. თვით კომისარადაც, ზოგიერთ ადგილას, ძალიან საქმის უცოდინარია არჩეული და ამიტომ არ იცის როგორ მოიქცეს, ან და იცის მაგრამ თავისი ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინოს. აი ამის ერთი მაგალითი: ივლისის 12 ადგილობრივმა კომისარმა რაზმაძე რეოლვერით მოჰკლა მისი მილიციონერი გიორგი დიაკონაშვილი. საქმის ვითარება შემდეგში იყო. მილიციონერი დიაკონაშვილი ყოფილა დროებით დათხოვნილი სახლში, მაგრამ მას დღეები გადაუცილებია; ამ დროს კომისარისათვის ვოლაცას მოუტანია ამბავი, ვითომც და ის ეწეოდეს სოფელში ავაზაკობას. რამდენად ეს მართალია ჯერ არ არის გამორკვეული. პარასკევს ივლისის 12-ს დიაკონაშვილი მოხვალა სოფლიდან ბაკურიანში, შუა ქალაქში შეხვედრია მას კომისარი რაზმაძე და უბრძანებია, რათა დაჯყონებლივ ჩაემარებინა მისთვის იარაღი, მაშინ მილიციონერს უთქვამს: თუ იარაღი ჩასაბარებელი შემექნა, იმას ჩავაბარებ ვინც მე ჩ ბაბარაო. ამ დროს კომისარს რეგოლვერი ამოუღია. შემდეგ როგორ მოხდა მკვლელობა არ არის გამორკვეული ჯერჯერობით, ალბად მომავალი გამოძიება გამოარკვევს სინამდვილეს.

შეიძლება ის მილიციონერი დამნაშავეც იყო, მაგრამ ამას ჯერ გამოიება უნდოდა და შემდეგ შესაფერი სასჯელის მიყენება.

ის მილიციონერი ყოფილა ოსი და ამიტომ ოსები ძალიან გაჯავრებულნი არიან: ინტერესი ჰქონდა ჩვენიო და ამიტომ ჩაიდინა კომისარმა ეს მკვლელობაო.

ბიონის ჰირველი.

ხ. ფალეჯიხა. ივნისის 16 შესდგა საზოგადოების საერთო კრება. კრებას განსახილველი ჰქონდა იარაღის საკითხი, რომელიც წინა დღეებში მთავრობამ წალენჯიხის საზოგადოებას წარუდგინა. ამ საკითხის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა, რაც თოფი აღმოჩნდება წალენჯიხაში დაჯყონებლივ ჩააბარონ ზუკდიდის მაზრის კომისარს და კიდევაც ეს დადგენილება სისრულეში მოყვანილ იქნა.

ახლო-მახლო სოფლებში დიდ არევ-დარევას აქვს ადგილი. მშვიდობიანი ხალხი მეტად შეიწროებულია იმ პირებისაგან, რომლებიც სოფლებში არიან და წარა-მარა ისკრიან თოფებს. ამის გამო კრებამ დაადგინა რაც შეძლება უსასტიკესი ზომები იქნეს მიღებული მთავრობისაგან ასეთ უპასუხისმგებლო პირთა თოფების ჩამოსართმევად. ბოლოს მოხსენება გაუკეთა ვ. ოსიძემ და აუხსნა ხალხს ახალ პირველდაწყებითი სკოლის შენობის საჭიროება. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაეკალა გამოიანგარიშოს თუ რამდენი დაჯდება ახალი და წარუდგინოს საზოგადოებას. ამის შემდეგ კრებამ გაარჩია სხვა და სხვა წვრილმანი საკითხები.

ტერ. წალენჯიხელი.

გამომცემელი
სანსხლ. ფინანსთა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე ილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბაგლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ფეხოსანი ორდინატორი ტფილისის ოჯახთა საავადმყოფოისა, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სტეფანწმინდა ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და გახსნილა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და ქალის ავადმყოფობისა. ილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ ილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ივალის სამკურნალო
მუდმივი საწოლები
ექიმ ილიმ
რომელიც ილი ხის განავლობაში ასისტენტად იყო ვენნასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან ილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პრეს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 820

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტოამდე შეჩერებულია. 1030

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი ბეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, ილის 8—9 ს. და ალ. 4—6 ს. ფეოდოროვის ქ. № 9 ფანი. 1002

ექიმი
ვ. ა. ბერაძე
ბინაზე ავადმყოფებს ილის 12—2 საათ. ბაბალეს ქ. № 3.

კბილის ექიმი
პონსტანტინე არდაზიანი
გინაბლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი, ავადმყოფებს მიიღებს ილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მადარეიფ (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მიხეიგვის ქ. № 11. 426

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1089

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 900

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1890 წელს).
ბორონცოვის ბულვარის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
ილით:
„606“ და „914“ 11—12 ს
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9 10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ვ. ავანასიანი: 9½, 2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—ყელისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ბ. ბ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. ვ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
ხალამოოთ:
ა. ნ. ოსაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რენტგენ-დარიგება 1 მან. ხელოვნურ-თითების უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96